კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ ხმალაძეს

პატივცემულო ბატონებო, გვაქვს პატივი მოგმართოთ ღია წერილით.

„კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ეხმაურება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს, რომელიც შეეხება საერთო სასამართლოების სისტემაში განსახორციელებელ მასშტაბურ რეფორმებს.

დასაწყისშივე გვსურს დავაფიქსიროთ, რომ კოალიცია მხარს უჭერს მიმდინარე სასამართლო რეფორმას და წარმოდგენილი კანონპროექტი ამ მხრივ მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და გაძლიერების მიმართულებით. ბოლო წლების განმავლობაში, კოალიციის წევრი ორგანიზაციები ინტენსიურად მუშაობდნენ მართლმსაჯულების საკითხებზე, რის საფუძველზეც მიმდინარე წელს, კოალიციის ფარგლებში, მომზადდა და გამოქვეყნდა კვლევა - „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში“.

კოალიციას მიაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი დიდწილად იზიარებს კვლევის შინაარსსა და ხედვებს და ასახავს მასში წარმოდგენილ რეკომენდაციებს. კანონპროექტის დიდი ნაწილი ემსახურება ინდივიდუალური მოსამართლის როლის და მოსამართლეთა კონფერენციის რეალურ გაძლიერებას, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდისთვის.

კოალიციას ჰქონდა შესაძლებლობა კანონპროექტის ინიციატორებისთვის გაეზიარებინა თავისი ხედვა ინიცირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მათ შორის, იმ საკითხებზეც, რომელზეც კოალიციას კანონპროექტის ინიციატორებისგან განსხვავებული პოზიცია გააჩნია. აღნიშნული საკითხები შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის წევრობაზე დაწესებულ შეზღუდვას კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეებისთვის და ასევე, გარდამავალ პერიოდს და საბჭოს მოქმედი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

კოალიცია თვლის, რომ ძალაუფლების კონცენტრაციისა და ჭარბი ადმინისტრირების ფუნქციების მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრის პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია გარკვეული შეზღუდვების დაწესება იმ პირებისთვის, რომლებიც მათი სტატუსიდან გამომდინარე ბუნებრივად ფლობენ სხვადასხვა ბერკეტს სასამართლო სისტემის შიგნით.

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო პატიმრებს
საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
ლიბერალი კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისოსაზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სამოქალაქო განვითარებისსააგენტო
საქართველოს გაეროსასოციაცია
ევროპის იურისტსტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქოინიციატივების და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობისფონდი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ადამიანისუფლებათაპრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამართლებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული სასამართლოს თავმჯდომარეებსა თუ თავმჯდომარის მოადგილეებზე წარმომადგენლობით ორგანოებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა, რადგანაც ამ თანამდებობის პირებს გააჩნიათ ადმინისტრაციული ფუნქციები კონკრეტული სასამართლოს მართვის პროცესში. თუმცა, მათგან განსხვავებით, კოალიცია რისკის შემცველად არ მიიჩნევს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეების მონაწილეობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, რაც უპირველესად მათი ადმინისტრაციული ფუნქციების არარსებობიდან გამომდინარეობს. ამის გათვალისწინებით, კოალიცია ფიქრობს, რომ საპარლამენტო განხილვების დროს, კანონპროექტიდან ამოღებულ უნდა იქნეს შეზღუდვა კოლეგიებისა და პალატის თავმჯდომარეებზე.

რაც შეეხება გარდამავალ პერიოდს, როგორც ცნობილია, კანონპროექტის მიღებით უფლებამოსილება უწყდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სადისციპლინო კოლეგიის სრულ შემადგენლობას. კოალიცია თვლიდა და ამჯერადაც მიიჩნევს, რომ აღნიშნული უწყებების დაკომპლექტების არსებული წესი სრულიად არაჯანსაღია, რამდენიმე ადმინისტრაციული თანამდებობის შეთავსება იწვევს გადაჭარბებული ძალაუფლების კონცენტრაციას მოსამართლეთა მცირე ჯგუფის ხელში, ასევე ინტერესთა კონფლიქტს. თუმცა, ამის მიუხედავად, კოალიციას მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება შემადგენლობის განახლება მოხდეს ეტაპობრივად. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს კანონის ცვლილებით დადგენილ კრიტერიუმებს. ამასთან, იმ წევრს, რომელსაც არ შეეხება ახალი კრიტერიუმები, უფლებამოსილება უნდა გაუგრძელდეს მისი უფლებამოსილების ვადით. აღნიშნული ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, სისტემის სტაბილურ განვითარებას, ადმინისტრირების პროცესის უწყვეტობას და ასევე შექმნის ჯანსაღ დამოკიდებულებას რეფორმის პროცესის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის წევრ-ორგანიზაციებს აქვთ დამატებითი მოსაზრებები კანონპროექტის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით, კოალიცია ერთსულოვნად მხარს უჭერს ამ განცხადებაში გამოთქმულ პოზიციებს.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მხარდაჭერას მიმდინარე სასამართლო რეფორმის მიმართ და გამოვთქვამთ მზადყოფნას რეფორმის შემდგომ ეტაპზეც ჩვენი წვლილი შევიტანოთ სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების პროცესში.

დავით ასათიანი
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარე

თამარ ჩუგოშვილი
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარის მოადგილე